გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორვა კაპეიკი.

1877—1888 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

ქართული თეატრი

პარასკევს, 3 ივნისს,

მ. მ. ლეონიძის

უკანასკნელს, გამოთხოვების ბენეფისში

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ცოლი-მეუღლე

5 მოქმედებიანი დრამა ა. მოწყობარიძისა.

მართა ბედკრულაძის როლს ასრულებს მობენეფისე.

II

დივერტისმენტი

III

ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ანდრონიკოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, კავთელი, მესხიშვილი და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.


ტფილისი, 31 მაისი

ამ უკანასკნელ ხანებში საზღვარ-გარეთ ბევრი ისეთი რამ მოხდა, რასაც შეუძლიან დღემდე სამშვიდობო პოლიტიკას ევროპისას სრულიად სხვა მიმართულება მიაღებინოს. ის მიმდინარეობა პოლიტიკურის აზრისა, რომელსაც მედგრად შეებრძოლა ავადმყოფი იმპერატორი გერმანიისა ფრიდრიხი, დღეს ისევ ძველებურად მძლავრობს და მოსვენებას არ აძლევს მშვიდობიანობის მომხრეთა და მოსარჩლეთა. როგორც წინადვე, გერმანიაში თავი მაღლა ასწია ბისმარკის პოლიტიკამ, მიუხედავად იმისა, რომ ფრიდრიხი ერთგული მომხრეა სამშვიდობო პოლიტიკისა და ამ კაცთ-მოყვარე იმპერატორის მეფობის დროსაც-კი გერმანია მარჯვნივ და მარცხნივ მრისხანე თვალით იყურება. გერმანიამ ამ ბოლო ხანებში რუსეთს გამოუცხადა ძლიერი ეკონომიური ბრძოლა. რადგანაც რუსეთიდგან დიდ-ძალი პური გააქვთ საზღვარ-გარეთ და ამ პურს დიდი გასავალი აქვს ევროპის ბაზარში, ბისმარკმა განიზრახა მოუსპოს რუსეთს ეს წყარო სიმდიდრისა. იმან მოინდომა პურის ბაჟის მომატება იმ ზომამდე, რომ სრულიად გზა შეუკრას რუსეთის ვაჭრობას, ესე იგი ბისმარკმა მიჰმართა უმთავრესს ღონეს თანამედროვე ბრძოლისას, იმ ღონეს, რომელიც თვით ომზე უსასტიკესი და უძლიერესია. რუსეთის გაზეთებს ამ საგნის შესახებ დიდი და სამართლიანი ლაპარაკი აქვსთ. ისინი ამბობენ, რომ ბაჟის შემოღება რუსეთის ვაჭრობის შესავიწროებლად თვით გერმანიას ვერაფერს შეღავათს მისცემს, რადგანაც რუსეთის იაფის პურის მაგიერ გერმანიამ უნდა იხმაროს ძვირი პური, და ეს ხომ კიდევ უფრო დასცემს უიმისოდაც შევიწროებულს ეკონომიურს მდგომარეობას გერმანიისასა. გერმანიის საქციელს რუსეთის მიმართ სრულიადაც სამშვიდობო ხასიათი არა აქვს და ბისმარკსაც ეს უნდა.

ბისმარკი მარტო ამ საქმეს არა სჯერდება. უიმისოდაც გამწვავებულს განწყობილებას საფრანგეთთან დღითი-დღე უფრო და უფრო ამწვავებს. რამდენი შეურაცხყოფა მიაყენა გერმანიამ საფრანგეთს ელზას-ლოთრენში და რამდენი შეურაცხყოფა საფრანგეთის მხრივ გადაუხდელი დარჩა, მაგრამ დროებით დაატუსაღა თუ არა საფრანგეთმა ერთი ვიღაც საეჭვო გერმანელი, რომელიც იმ წამსვე განათავისუფლეს, რა წამსაც საქმე გამოძიებული იქმნა, — გერმანიის მართებლობას თავზე თმა აეშალა. ჩაიდინა თუ არა ეს საქმე საფრანგეთმა, გერმანიამ შემოიღო ელზას-ლოთრენში საპასპორტო წესი საფრანგეთის ქვეშევრდომთა შესავიწროებლად და საფრანგეთის სახელისა და გავლენის შესამცირებლად ელზას-ლოთრენში. ამ ღონის-ძიებამ ძლიერ აალაპარაკა საფრანგეთის მწერლობა, მაგრამ თვით მმართებლობა-კი ძალიან თავ-დაჭერილად და ფრთხილად მოეკიდა საქმეს. იმის მაგიერ, რომ იგივე ღონე ეხმარა გერმანიის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ, მინისტრმა გობლემ, როცა ლორამ წინადადება შეიტანა, რომ გერმანიის ქვეშევრდომთაც ჩვენ ისე უნდა მოვეპყროთ, როგორადაც გერმანია ჩვენებს ეპყრობა, საქვეყნოდ გამოაცხადა: სახელი და დიდება რესპუბლიკისა მოითხოვს, რომ ყოველს უცხოელს, რა ტომისაც უნდა იყოს, საფრანგეთის კარები არ დავუხშოთო.

რამდენადაც გაძნელდა რუსეთისა და გერმანიის ეკონომიური ურთიერთობა, იმდენადვე გამწვავდა გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკური განწყობილება. გერმანიამ კიდევ ერთხელ განაძლიერა ის ცეცხლი, რომლითაც ეს თექვსმეტიოდე წელიწადია იწვის და იდაგება საფრანგეთი. მაგრამ ამას სრულიად ყურადღებას არ ათხოვებს გერმანია, რომელსაც ალბად ძლიერი სურვილი აქვს ბრძოლის ველზე გადასწყვიტოს საფრანგეთისა და თავისი ბედი. ამას დიდი ხანია სცდილობს გერმანია, მაგრამ საფრანგეთი იმდენად თავ-დაჭერილად და ზომიერად ჰმოქმედობდა, რომ ყოველთვის, როცა გერმანია შეურაცხყოფას მიაყენებდა ხოლმე, რესპუბლიკა სულგრძელობას და მოთმინებას იჩენდა. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ საფრანგეთი საომრად განმზადებული არ იყო და სცდილობდა სამხედრო ძალ-ღონე შეემატნა და პირ-ნათლად დახვედროდა ყოველს ისტორიულს განსაცდელს. მხოლოდ ამ სურვილით აიხსნება მედიდური და თავ-გასული პოლიტიკა ბისმარკისა, რომელსაც არასოდეს არ უნდოდა მარჯვე დრო და შემთხვევა ხელიდგან გაეშვა.

ჩვეულებისამებრ ავსტრიაც გერმანიის პოლიტიკის კვალში სდგას და ჰმოქმედობს თანახმად ბისმარკის განზრახვისა. ამას წინად ვენგრიის მინისტრმა კოლომან ტისამ შეურაცხყოფა მიაყენა საფრანგეთს, რომელთანაც არავითარი პირდაპირი განწყობილება და დამოკიდებულება არა აქვს ავსტრიას. უეჭველია, რომ ტისას სიტყვა არ მიეწერება რომელსამე უბრალო შემთხვევას, არამედ შედეგია ავსტრო-გერმანიის საერთო პოლიტიკისა. ამ გარემოებამ დაგვიმტკიცა, რომ დღეს გერმანია და ავსტრია ერთსა და იმავე აზრს მისდევენ და მზად არიან თანახმად იმოქმედონ.

რადგანაც ამ გვარია ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგომარეობა და ურთიერთობა, ვნახოთ რას სჩადიან ეს სახელმწიფოები შინაურობაში თავ-თავიანთ განზრახვის მისაღწევად. გერმანია იმდენად გამზადებულია საომრად,

---

## ფელეტონი

### მამიდა ასმათი

ამბავი.

ვუძღვნი ციცინათელას.

(დასასრული *)

XVII

ორ კვირას შემდეგ უეზდის მმართველმა გამოგზავნა პრისტავი გოგორიშვილებში, მაგრამ ქალის მოტაცების ნამდვილი ამბავი ვერა შეიტყორა. როსაფი, როგორც აპეკუნი, ამბობდა:

— ქალი ჩემთან არის. მე ვარ მისი ბიძა და მზრუნველი, ვის რა დავა აქვს. თუ მე არ ეჩივი, ჩემს დას რა აჩივლებსო.

პრისტავი გადვიდა ასმათთან. მან დაწვრილებით უამბო ყოველფერი, თუ ქალი რა რიგათ მოსტაცეს მას გოგორიშვილებმა, ან აპეკუნი როსაფი, მისი ძმა, რა მონაწილეობას იღებდა უწლოვანის ქალის გაყიდვაში.

— ეგ, ბატონო პრისტავო, სულ როსაფის საქმეა. იმან გააწყალა ობლის ადგილ-მამული. ნახევარზე მეტი გაყიდული და შეჭმული აქვს. რომ არა მოდებოდა-რა, თავის ცოლის ძმისწულზე გადაწერა ჯვარი. პირობა აქვთ ერთმანეთში დადებული: თუ როსაფი მოუხერხებდა ობლის მითხოვებას, ის აღარასფერს გამოედავებოდა, აღარც განაყიდს და აღარც მითვისებულს ობლის ქონებიდან.

— ქალი სად არის ახლა? — ჰკითხა პრისტავმა.

— გოგორიშვილისას ჰყავთ დამალული. ღვდელს მცირე წლოვანობის გამო ჯვარი არ დაუწერია.

— რატომ ქალი აპეკუნისას არ არის?

— არ დადგება მასთან, ჩემო ხელმწიფევ, ჰკირივით სძულს; მაშინვე ჩემთან გამოიქცევა. კიდეც იმიტომ გადამიხვეწეს ის ჩემი ერთად-ერთი ცხოვრება და თვალის სინათლე. გამიფუჭეს, ლაფი დამისხეს ჩემს ნათელას. გევედრები, ბატონო პრისტავო, მიშველე, მიიღე ყოველ გვარი ზომა. სახლი დაუჩხრიკე გოგორიშვილებს.

— კარგი, ბატონო. რაც მთავრობისაგან მაქვს მონდობილი, ყოველსავე კანონისამებრ ავასრულებ.

პრისტავმა ესე ყოველივე წინდაწინ გამოძიება დასწერა, შეადგინა პროტოკოლი და გადასცა გამომძიებელს. ჯერ-ჯერობით ამით გათავდა საქმე.

—

იმ ღამეს შემდეგ ნათელა სამ დღეს არ გამორკვეულა. იმას ეგონა, როგორც ასმათმა დაარიგა, თავისი თავი პაწია საქმროსას. მაგრამ ძალიან უკვირდა, რომ ვისი ნახვაც ენატრებოდა, აქამდის არსად ჩნდებოდა. მოტაცების მეორე დღეს ნათელას შუადღემდის არ გამოღვიძებია. წინა ღამეს საშინლათ დაღალულიყო. ნაშუადღევს ნათელა ადგა და მიიხედ-მოიხედა; სულ უცხო პირები დაუხვდა სადგომში. ყველა მას ესიყვარულებოდა, ეფერებოდა. ხელ-პირი დაბანეს, ჩააცვეს. აქ იმას ახალი გადია დაუხვდა, რომელიც წამისწამ თავს ევლებოდა. ყოველ ნაირი საჭმელი მოუტანეს, რაც რომ ესიამოვნებოდა. საუზმე რომ გაათავა, შემოვიდა მზეხა თავის ქალით, რომლის ნახვა ნათელას მეტად იამა. ცოტას ხანს იქით ილიკოც შემოვიდა. ამისმა ნახვამ ნათელა კიდევ უფრო გაამხიარულა. იმ წუთს იმან ისევ თავისიანებში იგრძნო თავი და სულით დამშვიდდა. პირველ ორ დღეს ასმათი არ მოუსაკლისებია, მით უფრო, რომ დარწმუნებული იყო, ასმათი შინ უნდა დარჩენილიყო, რადგან თავის თავი თანდილაანთსა ეგონა. „მამიდა მოვა, თან საქმროს მოიყვანს და ჯვარს მაშინ დავიწეროთო!“ — ფიქრობდა გულში ნათელა. იმის გარშემო მყოფნი არას უმხელდენ. მხოლოდ ეს იყო მისთვის გასაკვირველი, რომ მზეხა და მისი ქალი იმ ოჯახს არ ცილდებოდნენ. როსაფიც ხან სადილათ გადმოვიდოდა, ხან ვახშმათ დარჩებოდა. ნათელას ერთი ვერ წარმოედგინა: „ეს რა ამბავია! მამიდამ ბიძის ოჯახიდან გამაპარა და მაშ ესენი აქ რათ უნდა იყვნენო?.. რატომ სულ წყევლა-კრულვით არ იხსენებენ მამიდას?.. რა ამბავია, რომ ესენიც ისე მხიარული არიან, როგორც თვითონ მამიდა იქნებოდა, აქ რომ ყოფილიყოო?..“ ის როგორ წარმოიდგენდა, თუ ილიკო მისი ქმარი უნდა ყოფილიყო?.. მას აქეთ, რაც ილიკო პირველად საყდარზე გაყვა ნათელას, როგორც ძმას ისე უყურებდა და მისი ნახვა ყოველთვის სასიამოვნოთ უჩნდა. თვითონ ილიკოს მისი სიყვარული ღრმათ ჰქონდა გულში ჩავარდნილი, ხშირად იყო მასთან და მუდამ თვალ-წარბში შეჰყურებდა, რომ რამე ესიამოვნებინა. ჯვარის წერის მოახლოვებას წამოზით ითვლიდა. არვინ იცის, რანაირათ მოხდა, მაგრამ ბოლოს ნათელამ მაინც შეიტყო ამ ოჯახის ვინაობა, თუ როგორ მოჰპარეს ასმათს ის უმთვარო ღამეში და იმის მაგიერათ, რომ თავის ვარსკვლავს შეხვედროდა, ისევ უკან მოაბრუნეს და ილიკოს მამის ოჯახში დააბინავეს. ეს ამბავი რომ ნათელამ ბეჯითად შეიტყო, შემდეგ აიტეხა მამიდასთან წაიყვანეთო. ხან-და-ხან კიდეც ტიროდა. მაგრამ ილიკოს ოჯახობა არას ზოგავდა, რომ ნათელა რამე ნაირათ გაერთოთ და მამიდას უყოლობა გვერდით არ ეასჩნეოდა. ბოლოს მაინც ნათელა შეურიგდა თავის მდგომარეობას. თუმცა ის აღარც ტიროდა, კიდეც თამაშობდა და საქმიანობდა თავის ბიძაშვილთან ერთად, მაგრამ მისი გული მას შემდეგ ველარ მოლბა ამ ოჯახისთვის. მას აქეთ, რაც ის შეიტყო, რომ ასმათს წაართვეს მისი თავი ძარცვის ხეობაში, ამ ოჯახს უცხოთ უყურებდა.

XVIII

ბიჭია გოგორიშვილი ძალიან დააფიქრიანა ასმათის საჩივრებმა. სამართლის კარი თავის დღეში არ გამოეცადა, რა იყო, და ყოველ საჩივრის საქმეს სიკვდილსავით უფრთხოდა. ნათელას მოტაცების საქმე რომ აღძრულიყო და ის სასამართლოში დაებარებინათ, ეს მისთვის დანით ყელის გაჭრა იქნებოდა. ამ საქმის ჩაქრობის გულისთვის ის არასფერს დაჰზოგავდა, არც ფულს, არც ჯაფას, არც ზარალს. იმან გაუგზავნა ოთარს ბიჭის ხელით სამი თუმანი და სთხოვა ასმათის გულის მონადირება. ოთარი გადავიდა ბიჭია გოგორიშვილისას, ძალიან ქეიფიც გაატარა, ბოლოს წამოიღო ასმათთან გამოტანებული წიგნი და დაბრუნდა.

„უგულითადესო დაო ასმათ, — სწერდა ბიჭია: — ღმერთმა ხომ იცის, მე თქვენთვის არა დამიშავებია-რა. თქვენ რომ ძმასთან მტრობა გქონდესთ, მე რა შუაში უნდა ვიყო. მართალია, თანდილაანთ ვაჟისთვის გინდოდათ ნათელას მითხოვება, მაგრამ ამ ჩემს ილიკოს რითი დაიწუნებთ? ჩემი ილიკო თვალ-ტანათ ცხრას სჯობია მისთანას. გვარიშვილობა იმას ჩემზე უკეთესი არა აქვს. თვითონ მოგეხსენებათ, ზემო ქართლში ერთის კვირის გამომცხვარის პურითა და მახობით რჩებიან. ღვინო ვინ მისცათ. მე შენს ნათელას ცხელს საჭმელსა და მწვანის ღვინოს არ გამოულევ. რაიცა შეეხება ჩაცმადახურვას და საზოგადოებაში გამოყვანას, შენი ნათელა ქართველ ტეტია ქალებზე ერთი-ათად უკეთ მორთული იქნება. მობძანდით ჩემს ოჯახში, გაგვიცანით, თუ ჩვენი მოყვრობა დაგიჯდესთ, ხომ კარგი, თუ არა-და, ჩვენ რა ძალა გვაქვს თქვენს ნათელაზე. მე როსაფმა მომიყვანა შინ თქვენი ძმისწული, ძალას მატანდა, ახლავე ჯვარი დასწერეო თქვენს შვილზე, მაგრამ მე არ ვქენი: ერთი, რომ თქვენი ნება არ იყო, მეორე, რომ ჩემს შვილს მცირე წლოვანს ქალს არ შევრთავდი, რადგან არ მინდოდა, სამსჯავროთ საქმე გამხდომოდა და სამართალში ჩავვარდნილიყავი. თუ ჩემი მოყვრობა არ გენებებათ, კარგს მეზობლობას მაინც რას მემართლე-

*) იხ. „ივერია“ №№ 101, 104, 106, 109, 110 და 113.

რომ, ვგონებთ, მეტი მოსახერხებელიც არ იყოს. ამ ჟამად გერმანიას ჰყავს 7.200,000 კაცი, რომელნიც ვალდებულნი არიან სამხედრო სამსახური გასწიონ. ამათ შორის 3.228,000 კაცი სამის წლის ნამსახურნი არიან მხედრობაში. გერმანიას საქმე ისე აქვს მოწყობილი, რომ მუდმივ მზადა ჰყავს საომრად 1.600,000 კაცი და თან 3,264 ზარბაზანი აქვს. დანარჩენი ჯარი ზოგი ზურგისაა, ზოგი ადგილობრივ საჭიროებისათვისა ჰყავს. როგორც ამბობენ, გერმანიამ ძალიანაც რომ მოინდომოს, მეტს ხარჯს ვერ გასწევს მხედრობის გასაძლიერებლად. ერთის სიტყვით, მისულა იმ წერტილამდე, რომლის იქით ფეხს ვერ გადასდგამს.

საფრანგეთი, რომელსაც გერმანიაზე მეტი და უფრო ძლიერი მხედრობა ჰყავდა ამას წინად, შეუშინდა გერმანიის გაძლიერებას და იძულებული შეიქმნა საკუთარი მხედრობაც გაეძლიერებინა. ამიტომ ამ ხანებში სენატმა განიხილა სამხედრო პროექტი და ჯარის-კაცებს დაუნიშნა სამსახურის ვადად ხუთი წელიწადი სამის მაგიერ. ახალის პროექტის ძალით ყოველს წელიწადს მზად უნდა იყვნენ ჯარში გამოსაწვევად ყველანი, ვისაც წლოვანება შესრულებია, სამხედრო ხარჯიც უნდა მიუმატონ და ამ ნაირად მთელი ერი საფრანგეთისა სამხედრო ბანაკად გადაიქცევა, რომელიც პირველისავე ბრძანებით ბრძოლის ველზე უნდა გამოვიდეს. როცა გერმანიამ მხედრობას მაუზერის ყაიდის თოფები დაურიგა, საფრანგეთმა სამაგიეროდ შემოიღო ლებელის ყაიდის თოფი, რომელიც, მცოდნე კაცების აზრით, საუკეთესო თოფია. როგორც გერმანია, ისე საფრანგეთი არტილერიის განკარგებას შესდგომიან. ორსავე არტილერიაში შემოუღიათ ასაფეთქი წამლები და ორსავე სახელმწიფოში ციხე-სიმაგრეებს აძლიერებენ და აშენებენ ომისათვის საჭირო რკინის გზებს.

ეხლა ავსტრიას მივუბრუნდეთ. როგორც გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, გარდა იმ 119 მილიონის გულდენისა, რომელიც დანიშნულია სამხედრო საჭიროებისათვის, მართებლობა თხოულობს კიდევ 47 მილიონს იმავე საგნისათვის. ჩვენის მზადების მიზეზი ის არისო, სთქვა იმპერატორმა ფრანც-იოსებმა: რომ სხვა სახელმწიფოებიც განუწყვეტელს მზადებაში არიან, და არ ვიცით, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანსო. ერთის სიტყვით, ავსტრიაც იმას ამბობს, რასაც სხვები: საომრად ვემზადები მხოლოდ იმისთვის, რომ სხვებიც ემზადებიანო.

ამ სახელმწიფოთა მიხედვით პატარა ბელგიაც შესდგომია საომრად მზადებას. მართებლობას დაუდგენია დახარჯოს 40 მილიონი ფრანკი სამხედრო საჭიროებისათვის. ბელგია აგრეთვე აძლიერებს ციხე-სიმაგრეებსაც. ყოველსავე ამას სჩადის იმისთვის, რომ გერმანიამ და საფრანგეთმა ბრძოლის ველად არ გახადონ და არ გადასთელონ პატარა სახელმწიფო.

ა. ს—ი

# ახალი ამბავი

⁂ 29 მაისს, შუადღისას, სათავადაზნაურო საადგილ მამულო ბანკის დარბაზში დაიწყო წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“. თავ-მჯდომარის, ბ-ნ ა. ჭყონიას, წინადადებით კრებამ მოიხსენია პირველი თავ-მჯდომარე საზოგადოებისა, განსვენებული დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის „საზოგადოების“ წინაშე, დაადგინა სამძიმრის წერილი გაეგზავნოს განსვენებულის ოჯახობას საზოგადოების მხრივ და გადასწყვიტა, შეიძინოს და საზოგადოების კანცელარიაში დაჰკიდოს განსვენებულის სურათი. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა და დაამტკიცა წლიური ანგარიში.

რადგან ამ დღეს ყველა საქმეების განხილვა ვერ მოასწრეს, ამიტომ კრება გაგრძელდა მეორე დღესაც საღამოს. ორივეჯელ კრებაზე საკმაოდ ბლომად ხალხი მოვიდა. ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია ზოგიერთის სკოლის მდგომარეობამ. მეტადრე დიდი ლაპარაკი ჩამოვარდა ბათუმის სკოლის შესახებ, მაგრამ კრებამ მაინც ერთ-ხმად დაადგინა, რომ ბათუმის სკოლა ხელ-უხლებლად უნდა დარჩეს, მეტადრე დღეს, როდესაც თვით ბათუმელები ასეთის თანაგრძნობით ეკიდებიან ამ სკოლას და შემწეობითაც დიდს შემწეობას უჩენენო.

იქნებოდა ღამის 12 საათი, როდესაც კრებამ გაათავა ყველა საგნები, რომელიც განსახილველად ჰქონდა წარმოდგენილი გამგეობისაგან, და შეუდგა არჩევნებს გამგეობის წევრებისას. საზოგადოების და გამგეობის თავ-მჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ერთ-ხმად ისევ თ. ილია ჭავჭავაძე. გამგეობის წევრებად: 1) ნ. ზ. ცხვედაძე, 2) კნ. ა. მ. თუმანიშვილისა, 3) ი. ს. გოგებაშვილი, 4) გრ. ვოლსკი, 5) ეკ. რ. გაბაშვილისა, 6) ა. მ. ჭყონია, 7) ა. ზ. ქიქინაძე, 8) თ. დ. ა. ფავლენიშვილი, 9) ნ. თ. ხიზანაშვილი, 10) თ. ი. გ. მაჩაბელი, 11) ე. ს. თაყაიშვილი და 12) ა. მირიანაშვილი.

⁂ გუშინ-წინ, 30 მაისს, შესდგა საზოგად. კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. კრებაზე დაესწრო საზოგადოების პრეზიდენტი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. დარბაზი კრებისა მორთული იყო ყვავილებითა და მწვანითა. საზოგადოებას საანგარიშო წელს ჰყოლია სულ 233 წევრი. საზოგადოებას მიუქცევია ყურადღება ბევრ სხვა-და-სხვა სამეურნეო საგნებისათვის. ფული ჰქონია 13,979 მან. აქედამ დაუხარჯავს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის 10,468 მან. კრებაზე წაკითხულ იქმნა ანგარიში საბაღოსნო სკოლის მოქმედებისა. სკოლას ჰქონია 11,707 მან. და დაუხარჯავს აქედამ 11,689 მან.

⁂ ჩვენ მოგვივიდა გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი ანგარიში გორის ღვთისმშობლის პროგიმნაზიის შემოსავალ-გასავლისა 1887 წლის განმავლობაში:

შემოსავალი

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინას ანასტასია მიხეილის ასულისაგან . . | 100— | „ |
| შემწეობა მთავრობისაგან | 1000— | „ |
| შემწეობა გორისაგან. . | 1000— | „ |
| სწავლების ფასი . . . . | 3362— | 50 |
| გორის სობრანიისაგან. . | 292— | 10 |
| სამზრუნველო საბჭოს წევრის თავად ა. ა. ამილახვრისაგან . . . | 50— | „ |
| შემოსავალი დუქნებისა . | 42— | 42 |
| კონცერტიდამ . . . | 29— | 28 |
| სულ . . | 5876— | 30 |

ხარჯი

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ჯამაგირი მასწავლებლებს | 4730— | „ |
| სახლის შეკეთება. . . | 522— | 79 |
| დაზღვევა სახლისა 1886 და 1887 წწ. . . | 79— | 85 |
| სასწავლო ნივთები . . | 109— | 26 |
| ხელ-საქმის მასალა . . | 55— | „ |
| ბიბლიოთეკისათვის შეძენილი წიგნები . . . | 123— | 26 |
| მოსამსახურეებს . . . | 400— | „ |
| შეშა . . . . . . | 210— | 65 |
| დანარჩენი წვრილმანი ხარჯი . . . . . . | 236— | 70 |
| სულ . . . | 6467— | 51 |

დაგვაკლდა სახარჯოდ 591 მ. ნ. 21 კაპ. ეს ფული მოვაკელით 1060 მან. 43 კაპიკს, რომელიც წინა წლთაგან იყო გადარჩენებული. ამ ფულიდამ დარჩა კიდევ 1888 წლის 1 იანვარს 469 მან. 22 კაპ.

⁂ ჩვენ მივიღეთ «ანგარიში ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოღვაწეობისა 188⁶/₇ წ.» როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, სასწავლებელს ჰყოლია საანგარიშო წლის განმავლობაში 14 მასწავლებელი, (ამათგან უნივერსიტეტში სწავლადამთავრებული—7, სასულიერო სემინარიაში—2, გიმნაზიაში—3 და სა-

---

ბით. თქვენს ჩემს ოჯახში მობძანებას ისე მივიღებ, თითქოს საქართველოს დედოფალი მწვეოდეს. თუ მოყვრათ არ მიკადრებთ, თქვენი ქალი მაინც წაიყვანეთ. ამას უთქვენოთ ემძიმება აქ ყოფნა, თუმცა, ღმერთია გულთა მხილველი, ისე გვყავს დაცული და შენახული, როგორც მზეთუნახავი. თქვენ გინებებიათ ჩემზე სამსჯავრო საქმის შეყენება. რა საჭირო იყო?.. ცოლ-ქმრობა ნება-ყოფლობით უნდა, ძალ-დატანებით რა შნო ექნება. თქვენი ძმისწული რძლათ მიტომ უფრო მენატრება, რომ თქვენი გაზდილია. მაგის ადგილ-მამული მე არ მეხარბება. ის არ გექონია, მაგრამ არაფის უარესათ არ გახლავართ ოჯახში. ნეტავი-კი ეღირსებოდეს თქვენი ნახვა ჩემს ოჯახს, თორემ მარტო თქვენ პირის სანახავათ სამოცი თუმანი სულ ცინცხალი მანათები მაქვს პარკში გამოკრული. მაგრამ ეს-კია, რომ რაკი ერთხელვე დავმოყვრდებით, ყოველივე დავა და საჩივრები ჩვენ შორის უნდა მოისპოს. ნათელა მეთოთხმეტეში გადადგა და თუ თქვენი სურვილი იქნება, ჩვენც მზათ ვართ ქორწილისთვის. მე მხოლოდ მაშინ გავხდები ბედნიერი, როცა თქვენი ანდამანტის თვალები სიუხვის სხივს მოჰფენს ჩემს ოჯახს. თქვენი უმდაბლესად მორჩილი მოსამსახურე ბიჭია გოგორიშვილი“.

ოთარს ყოვლად შეწუხებული და უნუგეშო მდგომარეობაში დაუხვდა ასმათი. ქმრის სიკვდილს შემდეგ მას ამისთანა ავი არა გადაწყვეტია-რა. სამი თვე მეტი გავიდა მას აქეთ, რაც ნათელა მოსტაცეს. ეს მკვრივი, ღონიერი დედაკაცი სანთელსავით ჩამომდნარიყო. ძვლისა და ტყავის მეტი აღარა იყო-რა. თავი ჩაექინდრა და წელში მოხრილიყო. ხენეშისა და ვაების მეტი პირიდან არა ამოდიოდა-რა. ოთარის მოსვლამ ასმათი კიდევ უფრო მოაწყინა. მის უწინდელს დარდს ეხეც დაერთო, რომ ოთარის ცოლისათვის ხელში მიეცათ ბრალ-სადები ოქმი (обвинительный актъ) ოთარის გადასაცემათ. მას მკვლელობის გულისთვის ციმბირს უწყვეტდენ. მისმა ცოლმა მწარეთ იმოთქმა. ოთარმა არა იცოდა-რა, რადგან ჯერ შინ არ მისულიყო. იმან გადასცა თავის დედობილს გოგორიშვილის წიგნი.

ასმათმა გადიკითხა და წამოიძახა:

— მანამდის არ ადგა მათი გვერდები, სანამდის მათ ოჯახში არ შევიდე.

— ახლა მაინცა და მაინც ნურც შენ გადიქაჩები. ის შენი თანდილაანი გამოფშუტურებულნი ყოფილან. ცეცხლი არ უნთიათ, ისე ღარიბათ არიან; ღვინის მაგიერათ მჟრალი არაყით გამხეთქეს. ღმერთმანი, ნათელას ცოდვას დაიდებდი, თანდილაანთ ვაჟისთვის რომ მიგეცა. ნათელა იქ ორ კვირას ვერ გაძლებდა. ვაჟს არ იტყვი? მამა არ წამიწყდება, ჩამოქნილი სანთლის ფერი აქვს. ერთი რაღაც დაფსხრიკულია, ნაზამთრ ხბოსავით დაათრევს ფეხებს. შენ აკი მიწერე, ათი თუმანი მიეცით ოთარსაო. შენ დედობას ეფიცავე, თუთხმეტი მანეთის მეტი არ მოეცესთ. ისიც რის ვაი-ვაგლახით. შინ რომ არ ჰქონიყოთ, სამიკიტნოში ისესხეს.

— მე მაგას ხომ არ ვამბობ, გულ-ღმობიერათ დაიწყო პასუხი ასმათმა: იქნება ილიკო სჯობდეს, იქნება მისი ოჯახიც უკეთესი იყოს, მაგრამ როსათმა როგორ გაბედა ნათელას გათხოვება უჩემოთ?.. ვინ ვიყავი, ვინ?.. ნათელას ზიდვით ეს მკლავები მაქვს ჩამომწყდარი.

— შე დალოცვილო, შენც ისე არ გინდოდა? შენც მის ნამალევათ არ უპირებდი გათხოვებას? იმან მოგასწრო და გაათხოვა. იმასაც ისე შესტკიოდა გული, როგორც შენ. ჩვენ შორის ითქვას, იმას უფრო არ ეკუთვნოდა მისი გათხოვება?.. აპეკუნი და მზრუნველი ის იყო. შენ მამიდა იყავი მისი და ის ბიძა იყო.

— არა, მე ჩემს შეურაცხყოფას არ დავთმობ. თუ ქალი ვარ, გამოვალპობ ბიჭია გოგორიშვილს ქუთაისის ნაობახში.

— ვერც გამოალპობ და ვერც არას უზამ. ქალი აწ თოთხმეტის წლის გახდება. როსაფი, როგორც აპეკუნი, იტყვის—მე გავათხოვეო. გოგორიშვილებს არაფერი ევნებათ მაგითი. შენ-კი დაგეკარგება სამოცი თუმანი და დამრჩები ცალიერზე.

ამ სიტყვებმა ძალიან ჩააფიქრა ასმათი. კარგა ხანს პასუხი აღარ გაუცია; დააყრდნო მუხლზე ნიდაყვი და ნიკაპი ხელზე ჩამოიდვა. ის იყო ორ წყალშუა. კიდეც ამართლებდა ოთარის აზრს და ვერც მოეფიქრებინა, რანაირად უნდა შერიგებოდა ბიჭია გოგორიშვილის ოჯახს.

— ჯავრობას თავი დაანებე. შეურიგდი, გამოართვი რასაც გაძლევენ, ისა სჯობია. ნათელა რომ ილიკოს ხელში უფრო ბედნიერი იქნება, ამას ლაპარაკი აღარ უნდა.

— შენ, ჩემო ოთარ, ეს საქმე კარგათ არ გესმის. ბიჭიას უნდა მიმტყუოს, შემირიგოს, საქმე მომასპობინოს და მერე თითო პირში გამომივლოს. მაგაზე მაინც არ დავთანხმდები, ნათელაც რომ გამიუბედურდეს.

— შენ რა გინდა?.. მე მოვახერხებ ყოველფერს. ოღონდ დამეთანხმე, გამგზავნე. რაც წიგნში მოუწერია, შემოგიტან. მაგრამ საქმე-კი უნდა მოსპო.

— აბა, რადგან აგრეა, ნახევარი წინდაწინ გამომიგზავნოს. მერე წავალ და ვნახავ.

— ბატონი ბძანდები.

მეორე დღეს ოთარმა ოც-და-ათი თუმანი მოუტანა. მესამე დღეს ასმათი დიდი პატივის ცემით მიიღეს გოგორიშვილებისას. ნათელა მამიდას ნახვით სიხარულისგან აღარ იყო. როსაფი და მზეხაც აქვე შეურიგდენ ასმათს. ერთს კვირას შემდეგ ილიკომ ჯვარი დაიწერა ნათელაზე. ჩინებული ქორწილი გადიხადეს. ოთარმა ძალიან მოილხინა. მისი სუფრულის ხმა ზურუკეთიდან ოფოთას ადიოდა.

XIX

5 ნოემბერს 188... წელს ოთარის გასამართლებაზე მრავალი ხალხი დაესწრო. სასამართლოს სხდომაზე როსაფიც იყო მოწმეთ დაბარებული საქმის ასახსნელათ. ასმათმა ყოველი ღონის-ძიება იხმარა, რომ დაემტკიცებინა,—ძირულას გაღმით მდებარე ყანა, რომელზედაც ჩხუბი მომხდარიყო, ვითომც მისი ყოფილიყოს; ოთარს, როგორც მის მოურავს, ისე ემოქმედნოს; გლეხები თვითონ შესეოდენ ოთარს და მას მხოლოდ ადგილის მფლობელობა დაეცვას. მაგრამ ამისთანა ჩვენება არაფრით დამტკიცდა, რადგან ასმათმა ვერაფერი საბუთი ვერ წარადგინა თავის უფლების გასამართლებელი.

სანამდის განჩინებას წაუკითხავდენ, ოთარი ძალიან მხნეთ იქცეოდა. ერთხელ თვით სხდომის დროს ოთარმა გადმოუყვრიალა გლეხებს თვალები და მრისხანეთ შესძახა: თქვენ როგორ ბედავთ სიცრუის ლაპარაკსაო!? გლეხები შეკრთენ. თავმ-მჯდომარემ შენიშნა ეს დამნაშავეს: თუ წყნარათ არ იქნები, სხდომიდან გავაყვანინებ შენს თავსაო.

— ეგ რა სამართალია! —ამაყათ წამოილაპარაკა ოთარმა: —თუ-კი უფლება არ მექნება თავი დავიცვა, ან გასამართლება რაღა საჭიროა? დამსაჯეთ და ის იქნება!

ამ სიტყვების გულისთვის სხდომიდან გაიყვანეს და მხოლოდ განჩინების მოსმენის დროს შემოიყვანეს. განჩინებამ მძიმეთ იმოქმედა ოთარზე, სახეზე ნაცრის ფერმა გადაჰკრა, ფეხზე რომ ველარ დადგა, მუხლები მოეკვეთა და სკამზე დაეშვა.

ასმათი მივარდა და ყველას გასაგონათ უსაყვედურა:

— აგრე რამ წაგახდინა, კაცი არა ხარ?.. როგორ არა გრცხვენია?.. მარჯვეთ იყავი, ნუ გეშინია, შენს ცოლ-შვილს მე მოვუვლი.

ოთარს შემოერტყა სამი ყარაული და წაიყვანეს სატუსაღოში. გარეთ რომ გამოვიდა, ქვითინი დაიწყო. თვე ნახევარს არ გაუვლია მას აქეთ, რომ ქუთაისში ხმა გავარდა, საპყრობილიდან ტყვეები გაიქცენო. გაქცეულებში ოთარიც ერია. იმას გაევლო თავის სოფელში, ერთი დღე და ღამე ცოლ-შვილში გაეთია, ასმათიც ენახა. შემდეგ გადავარდნილიყო ქართლისკენ...

გაზაფხულზე გავარდა ხმა, რომ ცხინვალის მხარეს ყაჩაღები გაჩნდაო, ცხინვალელებს დასხმიან, რამდენიმე მოსახლე გაუძარცვავთ და მასთან ერთი ურია და ერთი სომეხი მოუკლავთ. ორ კვირას შემდეგ ქართლის მხარეზე დაეცენ ლევდელს, თვითონ მოჰკლეს და გაძარცვეს მისი სახლი. მერე დაუხვდენ გლეხებს ჰერათხევის მახლობლათ. ისინი მიდიოდენ ხატობაზე და მიჰყავდათ ცოლ-შვილი. მოჰკლეს ერთი თექვსმეტის წლის ქალი, ერთი კამბეჩი და დასჭრეს ერთი გლეხი. სულ ეს საქმეები ბრალდებოდა ახალ შედგენილს ყაჩაღების გროვას. მთავრობამ მოიხმარა სასტიკი ღონის-ძიება, შეჰკრეს მთებ-ი და ქართლს გადასავალი გზები. ამბობდენ, ოთარიც ამ ყაჩაღებში ურევიაო.

ამასობაში შეიტყვეს, რომ ოთარი ხანდახან ღამით შინ ბუნაგობდა. მთავრობამ განაწესა ოთარის სოფელში საიდუმლო გზირები.

ერთ საღამოს ოთარი შინ მიიპარა. გზირებმა გაიგეს და პოლიციის პრისტავს შეატყობინეს. მან იმავ წამს მოახდინა განკარგულება. გასცა ბძანება, შეეკრიბათ სამოცი კაცი მახლობელ სამამასახლისოდან. ამ გროვაში რამდენიმე გლეხი ოთარისაგან დაჭრილები ერივნენ. იმათ უხაროდა ოთარის ხელ-მეორედ გაძაგვრა. თვითონ-კი ეკესი დაიარაღებული ჩაფ-

ისტატუ ინსტიტუტში—2.) და ორი აღმზრდელი და ერთიც ექიმი. მოსწავლეთა რიცხვი სასწავლებელში ყოფილა 328, ამათგან სკოლის ოთხს განყოფილებაში ითვლებოდა 183 ყმაწ. და პროგიმნაზიაში—145. როგორც «ანგარიში» მოგვითხრობს, სასწავლებლის რიგიანად წარმოებას ბევრი რამ დაბრკოლება ელობება თურმე გზაზე. ამ ჟამად ჩვენ აქ მხოლოდ ერთი-ღა მოვიხსენიოთ: სადგომი სასწავლებლისა თითქმის სრულიად უვარგისია. მხოლოდ მესამე და მეოთხე კლასი იძლევა საკმარისს ჰაერს, ესეც მისთვისს რომ ამ კლასებში მოსწავლეთა რიცხვი მცირედი იყო. მეოთხე განყოფილების გარდა, ყველა კლასების იატაკს შეკეთება ეჭირვება. ერთს უმთავრესს ნაკლულევანებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ყმაწვილებს რიგიანი დასასვენებლი ალაგი არა აქვსთ, კაი ტაროსში ყმაწვილები ეზოში არიან, მაგრამ ეზო მოკლებულია საკმარისს სივრცეს და მუდამ მტვერით ივსება, რადგან ორსავე მხრივ ტალახიანი ქუჩები აკრავს. ერთს ამ სახლთაგანს ორი დერეფანი აქვს, მაგრამ ზაფხულში დერეფანი საჭირო არ არის და ზამთარში-კი ცივია. ორის ქუჩის სიახლოვე, რომლებზედაც დიდი მოძრაობაა, მასწავლებლებს ძლიერ უშლის ხელს გაკვეთილების დროს.

*** წარსულს ხუთშაბათს ყასაბმა სოსიკო თათოლოვმა თავი დაირჩო მდ. მტკვარში. დარჩობის მიზეზი ჯერაც არავინ იცის. აი ჩვენ რას გვატყობინებენ ამ ამბის შესახებ. სოსიკო ოც-და-ათის წლის ყმაწვილი კაცი იყო, ახლად დანიშნული. დანიშნვას თითონ იმ თავითვე არა სჩადიოდა, ამბობდა, რომ მე დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, ვგრძნობ, რომ ადრე მომელება ბოლო, და ამიტომ ქალს ტყუილად ნუ გაუბედურებთო. ქალის მამა ოც-და-ათს თუმანს ქრთამს შეჰპირდა თავის სასიძოს და ამ ფულში ნიშნობის დროს ოცი თუმანი უკვე მისცა. ხუთშაბათს, 26 მაისს, სოსიკო შინ იწვა თურმე ტანისამოსით. დილის ათს საათზედ და შევიდა, გამოაღვიძა, უთხრა, რომ ადე, დუქანში წადი, დაგიგვიანდებაო, და გავიდა. წამოდგა თურმე ზლაზვნით უბედური, ვერცხლის ქამარი შემოიხსნა, ახალი ჩოხა გაიხადა და შინ გაუშვა, თითონ-კი გავიდა სახლიდგან. აქედგან თურმე ახალს ხიდზე წავიდა. ქართველს პოლიციელს უნახავს, რომ რამდენჯერმე ჩავიდა წყლის ნაპირას, ისევ ამოვიდა და ეტყობოდა, რომ შეშფოთებული იყოვო. შემდეგ გაჰყვა წყლის ნაპირს და სატივოსკენ წავიდაო. ასე მეგონა, იქ საქმიფოდ მიდის სადმეო. სოსიკო-კი მისულა ვანქის ბაღის ბოლოს და გადავარდნილა წყალში. ამასობაში დას ქამარი და ჩოხა უნახავს სახლში, შეშინებია, ფეხზე დაუყენებია ნათესავები და ნაცნობები და ძმის საპოვნელად გაუგზავნია. ტყუილია გაზეთებში ნათქვამი ამბავი, ვითომ ამხანაგებმა ცოლის მზითევი ოთხმოცი თუმანი შეუჭამეს და იმიტომ დაირჩო თავიო. ჯერ დუქანი არ უანგარიშნიათ და ამას გარდა არც ოთხმოცი თუმანი მზითევი ჰქონია. დამრჩვალი თათოლოვი მეორე დღეს, პარასკევს, იპოვნეს ყარაჯალის პირდაპირ, ჭალაში; მეჩანგლეს ბადე გადაეგდო, სოსიკოს გვამი მოსდებოდა, ამოელო და იქვე ჭალაში დაება.

*** საფილოქსერო კომიტეტს გადაუწყვეტია სხვათა შორის გაეგზავნოს აგრონომი კლ. ინანაშვილი კახეთში. ბ-ნმა ინანაშვილმა უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად გავრცელებულია კახეთში ვაზის ახალი ავადმყოფობა, სახელდობრ ვაზის ობი, და რა საშუალებით ებრძვიან ამ ვაზის მტერს იქაური ვენახის პატრონები. (გაზ. „კავკაზი")

*** იმავე გაზეთს სწერენ, რომ გორის მაზრაში დიდს მოსავალს მოელიან წელსაო. ეტყობა მაისის წვიმებს-კი არ გაუფუჭებია ჭირნახული, უფრო ურგია. ესლა ყანები და ჭერები თავთავს ისრულებენ კიდეც და საამურად ჰღელავენ მწვანედაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** კოლომან ტისას სიტყვამ, რომელსაც კერძო ხასიათი ჰქონდა და შეეხებოდა საფრანგეთის გამოფენაში ვენგრიელების მიერ მონაწილეობის მიღებას, დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც თვით ავსტრი-ვენგრიაში, ისე საფრანგეთშიაც. ვენგრიის მთავარ-მინისტრმა კერძოდ სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია თავისს თანამემამულეებს, ნუ მიიღებთ მონაწილეობას საფრანგეთის მსოფლიო გამოფენაშიო. საფრანგეთის ერი გულ-ფიცხი ერია, და თუ ავსტრი-ვენგრიის დროშას იქ შეურაცხყოფა მიაყენონ და ეს გარემოება დიდად სამწუხარო ნაყოფს გამოიღებსო.

ასეთი ლაპარაკი მთავარ-მინისტრის მხრივ, რასაკვირველია, საფრანგეთში შეუნიშვნელი არ ჩაივლიდა. მაშინვე ასტყდა მიწერ-მოწერა, ლაპარაკი; გაზეთებმა დაჰკრეს ნაღარა და დღეს საქმე ასე თუ ისე გამოირკვა. ამ ჟამად, როცა ავსტრიის მთავარ-მინისტრმა გრაფმა კალნოკიმ განუმარტა საფრანგეთის ჭეშმარიტი ვითარება საქმისა, ყველა დამშვიდდა. ქვეყნის დამშვიდებისათვისვე იყო წარმოთქმული სიტყვა საფრანგეთის გარეშე-საქმეთა მინისტრის გობლესი. ამ სიტყვით მინისტრმა დაუმტკიცა დეპუტატთა პალატას, რომ, როგორც აღმოჩნდა კალნოკის და ტისას განმარტებიდამ, ტისას არავითარი განზრახვა არა ჰქონია საფრანგეთისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა და ავსტრი-ვენგრია კვლავაც ისეთივე მეგობარი იქნება საფრანგეთისა, როგორც დღემდე იყოვო. გობლემ ასე გაათავა თავისი სიტყვა:

„მე მგონია,—სთქვა ორატორმა:—თქვენს გულს ვერ მოვიგებ და ვერ დავამშვიდებ, თუ რომ ორიოდე სიტყვა არ მოგახსენეთ კიდევ საფრანგეთის დღევანდელს ვითარებასა და საგარეო პოლიტიკაზედ. არ გავიმეორებ იმას, რომ იგი პოლიტიკა განსაკუთრებით პოლიტიკაა მშვიდობიანობისა. მე მგონია, რომ არავინ არ შეიტანს ამაში ეჭვსა. საფრანგეთს სწყურიან მშვიდობა. იმ დროს, როცა იმის გარშემო ერნი ჰღელავენ, ეტანებიან კავშირის შეკვრას ერთმანეთში, მხოლოდ საფრანგეთია დაწყნარებული, ლობე-ყორეს არ ედება, თავისსაშინაო საქმეებს აკეთებს და ძალიან შორს უჭირავს, როგორც ის ფიქრი, რომ თავს დაესხა ვისმეო, ისე ის აზრიცა, რომ ძირს დაეცა და უკან-უკან წავიდეო. საფრანგეთი კმაყოფილია მხოლოდ იმით, რომ ყურს უგდებს, რა ხდება იმის გარშემო და ამზადებს თავისს ძალას ყოველ უსაბედობისა და საფათერაკო შემთხვევისათვის. განა ის გარემოება, რომ ჩვენ განვიზრახეთ სამერმისოდ მსოფლიო გამოფენის გამართვა, საკმაოდ არა ჰმოწმობს, რაცა გვაქვს გულში, საკმაო საბუთი არ არის იმისი, რა დიდი იმედი გვაქვს მშვიდობიანობისა და რა ღრმადა გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ჩვენის მიზეზით არ დაირღვეს მშვიდობიანობა? ცხადია ამის შემდეგ, რომ რაც ერთს დროსა და ხანაში წესიერება ისე არა ყოფილა დაცული, როგორც ეხლაა ჩვენში. ღვთის წინაშე, მეტის-მეტობა, მოუვიდა ტისას, როცა სთქვა რომ ვშიშობ, ვაი თუ ჩვენი დროშა, საფრანგეთის სტუმართ-მოყვარეობის ანაბარად დატოვებული, შეურაცხყოფილ იქმნასო. ვენგრიელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ასეთი ამბები საფრანგეთში არ მოხდება ხოლმე. ჩვენ ჩვენს საქმეს ვადგევართ, იმ წეს-წყობილების განკარგებას მივსდევთ, რომელიც ჩვენ თვითონ დავამყარეთ და დაუღალავად ვმუშაობთ ერის ზნეობრივისა და ქონებრივის კეთილდღეობისათვის. ამ მუშაობისა და საქმიანობის დროს არ ავუვლით ხოლმე სხვა-და-სხვა საშინაო მღელვარებას, რომელსაც ჰბადავენ ზოგიერთნი დასნი და რომელთაც უცხოელნი ტყუილად აწერენ დიდს მნიშვნელობას. მე მგონია, იმ მღელვარებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ასე ძლიერია დამკვიდრებული ჭკუა-გონება ერისა; სადაც ასე ადვილია მართვა ქვეყნისა; სადაც არეულობა და რევოლიუცია არას დროს ერს არ მოუხდენია, ვიდრე თვით მთავრობას არ გამოუწვევია; სადაც ერს უფრო ძლიერ უყვარს თავისი თავისუფალი დაწესებულებანი, ვიდრე ჩვენ გვგონია და გვეჩვენება. ჩვენ არც ის გვაწუხებს, რომ ათასი სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმა და საეჭვო ამბები მოგვდის საზღვარ-გარეთიდამ, ათასი გესლიანი წერილები იბეჭდება გაზეთებში და ინციდენტები ტყდება მოულოდნელად. საფრანგეთს მაინც ჰსურს მშვიდობიანად ცხოვრება და მადლობით იღებს თანაგრძნობას, რომელიც ასე უხვად მოსდის სხვა-და-სხვა ქვეყნისაგან. ხოლო თუ რომელიმე მომიჯნავე სახელმწიფო მაინც საჭიროდ ჰრაცხს ზოგიერთ ჩვენის ინტერესებისათვის მავნებელი ღონის-ძიებანი მიიღოს, დეე თავისას ნუ დაიშლის! ავიტანოთ ჩვენ ეს შევიწროება უჩივლელად, უდრტვინველად, რადგან აქ იმათი სჯულობა, მაგრამ თან-კი არ უნდა დავკარგოთ ის უფლება, რომ როცა საჭირო იქნება, ჩვენც ნუ დავიხევთ უკან და ისეთივე

---

რი იახლა და მტრედის ფრად რომ ინათლა, შემოჰკრა ოთარის სახლი და ეზო. პრისტავმა მიუზავნა სახლთან მამასახლისი და ორი ჩაფარი, რომ ოთარი გაეღვიძებინათ.

იმათ ძლიერათ დაურაკუნეს კარზე და იწვევდენ ოთარს გარეთ გამოსულიყო, მთავრობას დანებებოდა. მაგრამ ბაიბურიც არ ისმოდა შიგნიდან.

კარ-ჩაკეტილს სახლობას ავი დღე დაუდგა. პირველსავე დარახუნებაზე ცოლს გამოეღვიძა და შიშის კანკალმა აიტაცა. ოთარი წამოვარდა ზეზე, და ცოლს უთხრა: „ჩემი ბედის წერის დღე მოიწია, შენ იცი, შვილებს როგორ მოუვლიო!" ცოლს ამ სიტყვებზე გული შემოეყარა. ოთარი აღელდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ვეღარც დოქს მიაგნო, ვეღარც წყალს, რომ დედაკაცი მოებრუნებინა. გარეთ რუზრუზი და ხმაურობა თანდათან მატულობდა: „გამოდი, შე მხდალო, კაცების მკვლელო!" უყვიროდენ მისგან ჩხუბში დალახული როსაფის ნაყმევი გლეხები. ოთარმა იშიშვლა ხმალი, გააღო უცებ კარები: „აბა, დადექით, ვინც ვაჟკაცი ხართო?" შესძახა მამაცურად და შურდულივით გამოვარდა შინიდან. მამასახლისმა და ჩაფრებმა უნებურათ გზა უტიეს. ოთარი თვალის დახამხამებამდის შეხტა ლობეზე. ამ დროს ესროლა თოფი ჩაფარმა, ტყვია მოხვდა ოთარს იმ ხელში, რომელიც ლობის სარზე ჰქონდა მოჭიდებული. იმან უშვა ხელი უნებურათ და ძირს ჩამოვარდა. პრისტავმაც მიუსწრო და უბძანა ჩაფრებს დაემორჩილებინათ. ერთმა ჩაფარმა დაჰკრა კეტი თავში, მეორემ ხმალი გააგდებინა ხელიდან. შემდეგ შეუდგნენ მის შეკვრა-შეკოჭვას. ოთარს სისხლი ღაფ-ღაფათ გადმოდიოდა. თავი შეუხვიეს, ჭრილობა დაუცვეს, დასდვეს საკაცეზე და წაიღეს უეზდის სასამართლოში.

ამ ალიაქოთზე გამოეღვიძათ ოთარის ქალსა და ვაჟსა. ქალი იყო რვა წლის, ვაჟი თერთმეტის, ძალიან მკვირცხლი და დაუდგრომელის ხასიათისა. იმას პაწია ოთარს ეძახდენ. ის გამოვარდა გარეთ, შეხედა, რომ ხალხი მამა მისს მისეოდა, თავსა და ხელებს უკრავდენ, ისიც დაინახა, რომ მამა მისი სისხლის ღვარში ცურავდა.

იმან უეცრად დაიწყო რბენა და უსიამოვნო ხმით ძახილი:

—მამაჩემი დაჩეხეს, დაკუწეს, დაჩეხეს, დაკუწეს!..

სახლს შიგნით რვა წლის ოთარის ქალი მოჯდომოდა მწოლიარე დედას და საცოდავი ხმით ტიროდა. დედა მისი გულ-შემოყრილობისაგან მობრუნებულიყო, მაგრამ ხელ-ფეხი ვეღარ მოეხმარა, ვეღარც წელი აითრია. იმას ეთქვა პაწია ქალისათვის ყურჩურით, მეტი ხმა აღარ ჰქონოდა: „მამაშენი მოჰკლესო!" ქალი მაშინვე ატირებულიყო ლოგინში და დედას აღარ ცილდებოდა. ოთარი კარგა ხანი იყო მას აქეთ, რაც წაეყვანათ, მაგრამ მისი ვაჟი მაინც კიდევ ასე დარბოდა და დაჰყვიროდა თავის ეზოში:

—მამაჩემი დაჩეხეს, დაკუწეს!.. დაჩეხეს, დაკუწეს!..

ასმათი გულ-გახეთქილი გადმოიჭრა შინიდან. იმან დაინახა: ოთარი ქალებზე მიჰქონდათ საკაცით და უკან ხალხი მისდევდა. შინ მისი ცოლს დამბლა დასცემოდა, პაწია ქალი საცოდავად ტიროდა და ვაჟი გაგიჟებულიყო. ამ სამწუხარო სურათის შემხედვარემ მოსთქვა ტირილით ოთარის უბედურება. მეზობლები ყველანი იქ მიცვივნდენ და ყველას სდიოდათ თვალებზე ცრემლის ნაკადული.

XX

სამი წელი მეტია მას აქეთ, რაც ილიკო გოგორიშვილი სტკბება თავის ძვირფასი ცოლ-შვილის შემხედვარე. ის ძალიან მარჯვე ახალგაზდა შეიქნა და ოჯახის ერთგული. მამა მისი, ბიჭია გოგორიშვილი, იმდენათ მოხუცდა, რომ გარეთ აღარ გამოდის. ოჯახის საქმეები თავის შვილს, ილიკოს გადასცა. ესეც მომჭირნეთ შრომობს და დღითი დღე იცდება ცხოვრებაში. ილიკო თავის სოფელში მოწონებული ვაჟკაცი დადგა, თავ-მდაბალი, უწყინარი, ტოლსა და ამხანაგში პატივცემული. შეუძლებელია, რომ იმან ან ლხინში მომეტებული ღვინო დალიოს, ან ვისმე წაეჩხუბოს. მან ძველს მამის ოდას სამი ახალი ოთახი მიადგა და იქ გაიკეთა საკუთარი ბინა.

ბიჭია გოგორიშვილს დიდ-ბატონს ეძახიან. ზალაში დიდი ტახტი აქვს გაშლილი. სხვა-და-სხვა ნაირი გძელტარიანი ჩიბუხები აქვს გაწყობილი და ბოლთასა სცემს. რა დღესაც სტუმარი არ მოუვა, იმ დღეს მოწყენილია. მისი მხიარულება მაშინ არის, როცა როსაფი ესტუმრება ხოლმე. ისინი ზამთარში ზალაში იშლიან სუფრას, ზაფხულში დიდ მუხის ძირში, სმენ აურაცხელს ღვინოს და მუდამ გაჯიბრებული არიან: ვინ ვის დაათრობსო. როცა კარგათ შეზარხოშდებიან, ბიჭია მოითხოვს ჩიბუხს და დაიწყებს ძველის დროის ამბებს. დიდ სასიამოვნოთ მიაჩნია ერთი ამბავი თავადის რომანოზ ერისთავისა, რომელსაც ყაბახის გადმოგდების გულისთვის ერთი ქულაჯა უჩუქებია ბიჭიასათვის და ერთი ბუხრული ქუდი. ის ბუხრული ქუდი დღესაც ახურია თავზე, მაგრამ მეტის სიძველისგან ბეწვი გასცლია და მარტო ტყაპუჭი დარჩენილა. ბიჭია სულ იმ დროს ქებაშია და ახლანდელი დრო აღარ მოსწონს.

—ეჰ, კარგია, თუ ღმერთი გწამს, ბიჭია, ნუ იცი ეგ ტრაბახი. ის დრო ახლანდელ დროს როგორ სჯობდა: მზე რომ ჩაიდოდა, გარეთ ვეღარ გამოხვიდოდი და ჩექმის მაგიერათ ქალამნები გეცვა,—ეტყვის გასაჯავრებლათ როსაფი და ეშმაკურათ გაუღიმებს. ბიჭია წყრომის ნიშნათ თავს გაიქნევს, ბოლს გამოუშვებს ჩიბუხიდან.

—ეჰ, რა ეშველებოდა ამ წუთის სოფელს, ბიჭია, მე და შენ რომ გაეჩენოდით,—წაუხუმრებს როსაფი და მიაწოდებს ღვინით სავსე დიდ-ყურიანს სტაქანს.

მოყვრები ისევ შერიგდებიან და განაგრძობენ მხიარულებას...

ოთარის ცოლმა თქვენი ჭირი წაიღო. იმის ვაჟიშვილი ტყე-ველათ დარბის, ტანისამოსს ტანზე არ იყენებს. არ იცის კაცმა, ან რითი რჩება, ან სად ათევს ღამეს. ხანდახან მგელსავით ჩამოირბენს სოფელში. ყველას ებრალება. ზოგი მჭადს მიაწვდის, ზოგი ხორცს. ღვინოს არა სვამს. ოთარის ქალი ასმათს ჰყავს აყვანილი შვილათ და ისე ზრდის, როგორც ოდესმე ნათელას ზრდიდა.

მამიდა ასმათმა თავის ადგილ-მამული ნათელას დაუმტკიცა. ის დგას იქვე ბიჭია გოგორიშვილის ეზოში, ორ-ოთახიანი ოდა აქვს გაკეთებული, ერთი გოგო ჰყავს ხელზე მოსამსახურე. რაც ბიჭია გოგორიშვილისაგან ფული აიღო, ოთარის ქალის სამზითოთ აქვს გადადებული. თვითონ-კი ბიჭია გოგორიშვილის ხარჯზე ცხოვრობს; ჰმართებს კიდეც, რადგან მთელი თავისი ადგილ-მამული ნათელას ამკვიდრა.

ასმათი ძვირათ თუ ვისმე ეჩვენება. ხანდახან შეძვრება მხოლოდ ნათელას ოთახში, როცა ილიკო შინ არ არის, და უალერსებს მის ვაჟს. ნათელას უწინდულისთვე უყვარს მამიდა და ისე დღეს როგორ დაალამებს, სამჯერ, ოთხჯერ რომ არ ნახოს თავის საყვარელი მამიდა. ნათელას ყველა თავს ევლება და მისი პატივისცემით ასმათსაც მოწიწებით და მორჩილათ ექცევიან. მამიდა ასმათი ძალიან დაბერდა; მისი დიდრონი თვალები აღარ სცემენ უწინდელ სინათლეს, კიდეც ჩასცვენიან. თვითონ გამხმარა, შვილდსავით წელში მოხრილა; მისი წითური ლოყები დამჭკნარი ვაშლის ჩირსავით ჩამოჭმუჭნილა და ყვითელი ფერი დასდებია. ოთარის ცოლის მოსახსენებლად წელიწადში სამჯერ გზავნის საკურთხს ზურუკეთის საყდარზე. იმას აქვს პატარა დაუჯდომელი ლოცვანი და დავითნი; დღეში სამჯერ ლოცულობს. რადგან თვალებს დაჰკლებია, სათვალეს ხმარობს, რომელიც ბამბის ძაფით აქვს შეკრული და ლოცვანში უძევს.

ილიკო როცა მოიცლის საქმეებიდან, მუდამ შინ არის. მაშინ არის მისი აღდგომა. ის მუდამ თავის ცოლს ნათელას და მის ვაჟს შეტრფის. ესენი არიან მისი განუსაზღვრელი ბედნიერების წყარო. ნათელა, როგორც მანამდის, ისე ახლა ექცევა თავის ქმარს, ილიკოს. პატივს სცემს, მისი ნახვა ყოველთვის გაამხიარულებს, მაგრამ საკვირველია, რომ აქამდის უწინდელი გრძნობა არ შეცვლია მაზე, თუმცა მასთან უკვე ვაჟი ჰყავს. ის იმას ძმურის სიყვარულით უფრო ექცევა, ვიდრე ცოლ-ქმრობის სიყვარულითა.

ნათელამ ამ სამს წელიწადს შოლტივით აავდო ტანი, მაღალი, გადაშლილი გულ-მკერდით და შავი თვალწარბით; სქელი შავი თმა წელზე სცემს; მისი წითური ლოყები ორი თურაშაული ვაშლია; როცა ვაჟი ჰყავს აყვანილი ხელში, მისი სიხარული და მცინარა სახე ვარსკვლავებით მოკრიალებულს ცასა ჰგავს. აი, ის ხშირად შეჰყურებს უმთვარო მოწმენდილს ღამეში ამ მოჭედილს ცას, იმიტომ რომ მას იქ ეგულება თავისი ბედის ვარსკვლავი, „კუროს თვალი". აქამდის ელის მას და ჯერ კიდევ ვერ შეხვედრია. თავის პირველი ვაჟი იმ კუროს თვალისთვის დაუმგზავსებია. ნეტა როდის იქნება, რომ ამ ვარსკვლავის „საეტლო, ის პირ-ტიტველა, მის ვაჟსავით თმა ხუჭუჭი ბიჭი", ნათელას ბედის წერა ძირს, ამ ქვეყანაში მას შეხვდეს სადმე და მხოლოდ მას დაარქვას ნამდვილი თავისი ქმარი?..

გ. წერეთელი

1888 წ. 22 დეკემბერი

ლოსის-ძიებანი მივიღოთ, რომელსაც ჩვენ დავინახავთ საჭიროდა.

აქ გობლემ გერმანიას გადაჰკრა, რომელმაც პასპორტები დააწესა ელზას-ლოთარენში მიმსვლელთათვის საფრანგეთიდამ. ბოლოს ასე დაასკვნა გობლემ თავისი სიტყვა:

მაინც ყოველ შემთხვევაში ერთს კანონს უნდა ვადგეთ მედგრად. ეს ის კანონია, რომ ჩვენს ერს პატივის-ცემით ეპყრობოდნენ, ჩვენს სახელს მასხარად არავინ იგდებდეს. აი ეს არის მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა. იგი პოლიტიკა არავის არას ემუქრება, არავის ომში არ იწვევს, მარტივია, ცხადია, მშვიდობის მოყვარეა და თავმომწონე. დარწმუნებული ვარ რომ ასეთის პოლიტიკის მოსურნეა სწორედ თვით საფრანგეთის ერიცა.

მოისმა ხანგრძლივი ტაშის-კვრა. კრებაზე იყო აგრეთვე ავსტრი-ვენგრიის ელჩი გრაფი გოიოსი რომლისათვისაც წინადვე ეთქვათ, ამა-და-ამ დღეს გობლეტისას სიტყვის გამო ილაპარაკებსო.

# წვრილი ამბები

ოსმალეთის მთავრობას აღუკრძალავს გაზეთი „Phare du Bosphore“ იმის გამო, რომ ამ გაზეთში ინგლისის საკიცხავი წერილი ყოფილა დაბეჭდილი.

— ისპანიის დედოფალს მიუწვევია ამერიკის პრეზიდენტი კლივლანდი ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლის კურთხევაზედ, რომელიც მადრიდში უნდა იყოს თიბათვეს.

— ინგლისის პარლამენტში გამოუცხადებიათ, რომ წარსულს წელს 32 კაცი გარდაცვლილა მარტო ლონდონში შიმშილითა და სიღარიბითაო.

— ლონდონში გამოუგონიათ ახალი საერთა-შორისო ენა, სახელ-წოდებით „Lingua“. ამ ენის გამომგონი გენდერსონია, რომელსაც სახელმძღვანელო უკვე დაუბეჭდია და ამბობს, რომ ეს ენა ვოლაპუკსა სჯობიაო.

— გერმანიის იმპერატრიცა ვიქტორია, როგორც ეხლა შეუტყვიათ, მარკო მინგეტის წიგნის „სახელმწიფო და ეკკლესია“-ს მთარგმნელი ყოფილა. ეს წიგნი დედოფალს გერმანულს ენაზედ გამოუცია 1881 წ. წიგნი მეტტინგენის უნივერსიტეტში უპოვნიათ.

— პარიჟში დაუარსებიათ ახალი ჟურნალი. ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელნი ქალები არიან და ეწოდება სახელად „Revue scientifique des femmes“. სარედაქციო profession de foi-ში ნათქვამია, სხვათა შორის, რომ „ეს ჟურნალი არავის არ აღუდგება წინ და ბრძოლას არ გამოუცხადებსო. მეცნიერების მხრივ ჩვენნი უფლებანი ისე არ არის შეზღუდული, რომ რაიმე ზიანს მოველოდეთ. სასწავლებლების კარი ღიაა ქალებისათვის, პროფესორები დიდის სიყვარულით და თავაზით გვექცევიან და ხშირად უფრო უკეთესადაც, ვიდრე თვით მამაკაცებსა“. ამ წინასიტყვაობის ბოლოს ნათქვამია: „თითოეულად, ცალად აღებულნი მამაკაცნი უფრო უკეთესნი არიან, ვიდრე ჩვეულებრივა ჰგონიათ. თუ ხშირად კაცებს უსამართლოებს ვუწოდებთ, ეგ იმიტომ-რომ უმეტესნი მათგანნი თავისს კეთილს თვისებას ჰფარავენ და ჰმოქმედებენ იმათ თანახმად, რომელნიც სამაგელნი არიან. შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს კაცები ერთობას, სიმართლეს და გულ-კეთილობას ადამიანის სისუსტედა სთვლიან, სცდილობენ ამ თვისებათა დაფარვას და თავიც მოსწონთ, თუ ხალხს ისეთები ეჩვენნენ, როგორებიც არ არიან“.

— ბოსტონში ამ ჟამად აკეთებენ თურმე იისეთს ტიკინებსა და თოჯებს, რომლებიც არა თუ მარტო „მამას“ და „დედას“ ამბობენ, არამედ მთელის წინადადების წარმოთქმა შეუძლიან იმ ფონოგრაფიულის აპარატის შემწეობით, რომელიც ტიკინის თავშია მოთავსებული. თუ ამ აპარატის ღილს თითი დაადეთ, შემდეგ სიტყვებს ამბობს ტიკინი: „ნუ მზანთ, წყალი მალიან ცივაა“, «წავიდეთ სასეირნოდ», და სხვანი. ყმაწვილები მალიან აღტაცებაში არიან თურმე ამ ტიკინებით და არამც თუ მარტო ყმაწვილები, არამედ დიდრონებიც-კი.

— ედისონს ამ ბოლოს დროს ისე გაუწყვია და გაუუკეთესებია თავისი ფონოგრაფი, რომ მთელს სამუსიკო პიესებს უკრავს თურმე. ამ დღეებში უცდიათ, შეიძლებს თუ არა ასოთ-აწყობა, რომ ფონოგრაფის ლაპარაკზე რაიმე წერილი ააწყოსო. ასოთ-ამწყობს მართლაც მალიან თავისუფლად აუწყვია წერილი და ამას გარდა ის ცოდნაც შეუძენია, რომლის საშუალებითაც შეუძლიან ხან ააჩქაროს და ხან ნელა-ნელა აკანანახებინოს ფონოგრაფსა.

— განთქმულს თვალის ექიმს პროფესორს ფერსტერს ბრესლავლში გამოუცხადებია, რომ, როგორც შემინიშნავს, 300 კაცს, თვალის ტკივილით ავადმყოფებს, თვალის ანთება იმის გამო მოსვლიათ, რომ მალიან ვიწრო საყელოები უტარებიათო.

— ებრაული გაზეთი „Israelitisches Wochenblatt“-ი, რომელიც მაგდებურგში გამოდის, ამბობს, რომ იმპერატრიცა ვიქტორიამ, როცა ლიუნებურგში იყო, აქო უფროსი ბურგომისტრი ლაუენშტეინი იმის გამო, რომ ტკბილად და მშვიდობიანად სცხოვრობენ ერთმანეთში სხვა-და-სხვა სარწმუნოების ერნიო, და დაუმატა: „იმის გამო, რომ ებრაელები ბევრსა სმულს, სრულიად აღშფოთებულნი ვართ მეცა და ჩემი ქმარიცაო“.

— ლონდონის ბროლის სასახლეში სცენაზედ გამოსულა ერთი ახალგაზდა მომღერალი ქალი, სახელად ელენე ტომპსონი, რომელსაც პირველში ისე შერცხვენია, რომ ძლივს ამოუღია ხმა. იმ დროს, როცა სილამაზით და ახალგაზდობით მოხიბლულს ერთს ნაწილს საზოგადოებისას ვაშა-ვაშა უძახნია მომღერლისათვის, ერთს ლოჟაში მჯდარს ყმაწვილს კაცს დაუწყია სტვენა. მომღერალს ქალს ფერი წასვლია, თვალები მიუშტერებია ამ ყმაწვილის კაცისათვის, შემდეგ ამოუღია ჯიბიდგან დამბაჩა და რამდენჯერმე უსროლია თავის მოწინააღმდეგესათვის. ეს საბრალო კაცი, სახელად ალბერტ უაიტლი, რამდენსამე ალაგას მძიმედ არის დაჭრილი თურმე.

# დეპეშა

31 მაისი

პეტერბურგი. «Новое Время» ამბობს, რომ მალცევის ამხანაგობის საქმეთა გამოსაძიებლად დანიშნულია ცალკე კომისია გენერალ-ლეიტენანტის გლინკა-მავრინისა, შტალმეისტერ, გენერალ-ლეიტენანტის სკალონისა და სენატის ობერ-პროკურორის ნეკლიუდოვისაგან შემდგარი.

ბანიალუკი. აქ მობძანდნენ ბოსნიის დასათვალიერებლად ავსტრიის მემკვიდრე პრინცი და იმისი მეუღლე.

პარიჟი. რადგან დეპუტატის არჩევანი უნდა მოჰხდეს შარანტის დეპარტამენტში, სადაც კანდიდატად ბულანჟეს მომხრე დერულედი გამოდის, ანგულემში საარჩევანო მზადება დაიწყო. პრინცმა ვიქტორ ნაპოლეონმა გაგზავნა იქ მარშალი კანრობერი და მიანდო, რომ შეაგულიანოს ბონაპარტელთა დასის ამომრჩეველნი დერულედის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

დერულედს დუელი ჰქონდა დღეს არენოსთან, რომელიც მოვიდა აქ აგრეთვე იმის წინააღმდეგ შესაგულიანებლად. არენოა დაჭრილია მსუბუქად.

პეშტი. გუშინ, სეფე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ავსტრიის იმპერატორისას იყო შეკრებილება, რომელსაც დაესწრნენ მინისტრები და დელეგაციის წევრნი. იმპერატორმა ბევრთან მუსაიფის დროს გამოაცხადა მშვიდობის მტკიცე იმედი და ბძანა, რომ დელეგაციისაგან მონათხოვი ფული მხოლოდ ჯარის შესავსებლად არის დანიშნულიო; მეტი ფული აღარ დაგვჭირდებაო.

ბერლინი. იმპერატორს ისევ მისცა სიცხე. გუშინ ისევ ჩაუყენეს იმპერატორს ყელში ვერცხლის ახალი მასრა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისი

| | ჩვეულებ. ფას. (მან. კ.) | | გამყიდვ. ფასი (მან. კ.) | | მყიდვ. ფასი (მან. კ.) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 9 | 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 184½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 274 | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 244¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საერთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25. თიბათვე 30 დღით არის.

1 დღე ოთხშაბათი. წმ. იუსტინიანესი და ვალერიანისა. კათოლ. იუსტინიანესი. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 5 დღისაა.

2 დღე ხუთშაბათი. ამაღლება უფლისა. კათოლ. ამაღლება. სომეხ. ამაღლებავე უფლისა (ჰამბარცუმი). მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰეჯრისა.—ალება გენ. ბულგაკოვის მიერ ბაქოისა, 1806 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—36. მთვარე 6 დღისაა.

3 დღე პარასკევი. წმ. პავლესი და დიონოსიისა. კათოლ. დედოფ. კლოტილდასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—36. მთვარე 7 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხის. | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |

ჯვარის მამის პურის ლავაში

| | | |
|---|---|---|
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| ხ-ჯი . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### გემოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანა. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

Доз. ценз. Тифлисъ, 30-го мая 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე